ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№01.01.11/10/165

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, დ. ადმაშენებლის გამზ. №65 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – **ზურაბ ჩიკვილაძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "გინა"**, მდებარე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი.პეტრიწის ქ №19, ბინა 19, მისი (შემდგომში „მიმწოდებელი"), ხელმძღვანელის **გიორგი მამუკელაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი.

1.1. **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე ჩუბინაშვილის ქ.№37-40, ნინოშვილის ქ№2/16, ნინოშვილის ქ№10, ჩიტაიას ქ№12, ჩიქობავას ქ№47-55, ჯავახიშვილის ქ№35, კონსტიტუციის ქ.№13, წინამძღვრიშვილის ქ№60, ტროტუარებზე, სარდაფების თავზე ლითონის ცხაურების მოწყობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.**

1.2. **კლასიფიკატორის კოდი (CPV კოდი) 44316300**

1.3 მისაწოდებელი მომსახურების ფასების ცხრილი ხელშეკრულებას თან ერთვის.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4 680.96 (ოთხიათასექვსასოთხმოცი) ლარი 96 თეთრი.**

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **7 (შვიდი) კალენდარული დღე.**

3.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონის ტერიტორია.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. **2017 წლის 01 თებერვლამე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.2. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.3. თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.5 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

– შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.

- უარი თქვას უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

– მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

– გააფრთხილოს „შემსყიდველი“ საქონლის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შსრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული,

რომელიმე ვალდებულება.
11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:
გამგეობის პროვაიდერების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის მ.შ. – მამუკა დათუკიშვილი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. თბილისის ჩუღურეთის	**შ.პ.ს. „გინა”**
რაიონის გამგეობა	ს/კ 205162189
ს/კოდი: 202467320	მისამართი: ი.პეტრიწის ქ №19, ბ 19
მის: ქ. თბილისის, დ. აღმაშენებლის გამზ №65	სს „საქართველოს ბანკი“
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	№ GE80BG0000000147079500
ბანკის კოდი TRESGE22	ელსმენი: 551 568796

ზ. ჩიკვილაძე

გ. მამუკელაშვილი

ლითონის ცხაურის დამზადება/მონტაჟი

ზომები დაზუსტდება ადგილზე

ზომა (L x B): 1,2 x 0,6 მ **რაოდენობა: 18 ც**

მის.: ჩუბინაშვილის 37 (3 ც), ნინოშვილის 2 (2 ც), ჩიტაიას 12, ჩიტაიას 55, ჯავახიშვილის 37 (4 ც), კონსტიტუციის 13 (2 ც), წინამძღვრიშვილის 60 (3 ც), წინამძღვრიშვილის 64 (2 ც)

#	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	**ასფალტ/ბეტონის ჩაჭრა, დანგრევა და ძირის მოსწორება, დაბეტონება**	გრძ.მ	2,4	21	50,40
	სხვადასხვა ცვეთადი მასალა	გრძ.მ	2,4	5	12,00
2	**ლითონის ცხაურის დამზადება მონტაჟი**	მ2	0,72	20	14,40
	ლითონის კუთხოვანა 35*35 მმ	გრძ.მ	3,6	3,5	12,60
	ლითონის ზოლოვანა 30*3 მმ	გრძ.მ	1,2	1,4	1,68
	მილკვადრატი 30*30*2 მმ	გრძ.მ	12	3	36,00
	სხვადასხვა ცვეთადი მასალა	მ2	0,72	5	3,60
3	**ლითონის კონსტრუქციის შეღებვა (მასალით)**	მ2	2,01	6	12,06
4	**სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ა/თვითმცლელზე და გატანა 25 კმ-ზე**	ტ	0,06	40	2,40
	ჯამი				145,14
	ზედნადები ხარჯი	10%			14,51
	ჯამი				159,65
	გეგმიური დაგროვება	8%			12,77
	ჯამი				172,43
	დ.ღ.გ	0%			0,00
	სულ ჯამი				172,43
	სულ (18 ცალი)				**3103,6738**

ზომა (L x B): 1,0*0,5 **რაოდენობა: 12 ც**

ჩუბინაშვილის 40 (3 ც), ნინოშვილის 10 (2 ც), ჩიტაიას 47, მაზნიაშვილის 37 (3 ც), წინამძღვრიშვილის 62 (3 ც)

#	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	**ასფალტ/ბეტონის ჩაჭრა, დანგრევა და ძირის მოსწორება, დაბეტონება**	გრძ.მ	2	21	42,00
	სხვადასხვა ცვეთადი მასალა	გრძ.მ	2	5	10,00
2	**ლითონის ცხაურის დამზადება მონტაჟი**	მ2	0,5	20	10,00
	ლითონის კუთხოვანა 35x35x3	გრძ.მ	3	3,5	10,50
	ლითონის ზოლოვანა 30x3	გრძ.მ	1	1,4	1,40
	მილკვადრატი 30x30x2	გრძ.მ	8	3	24,00
	სხვადასხვა ცვეთადი მასალა	მ2	0,5	5	2,50
3	**ლითონის კონსტრუქციის შეღებვა (მასალით)**	მ2	1,44	6	8,64
4	**სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ა/თვითმცვლელზე და გატანა 25 კმ-ზე**	ტ	0,04	40	1,60
	ჯამი				110,64
	ზედნადები ხარჯი	10%			11,06
	ჯამი				121,70
	გეგმიური დაგროვება	8%			9,74
	ჯამი				131,44
	დ.ღ.გ	0%			0,00
	სულ ჯამი				131,44
	სულ (12 ცალი)				**1577,2838**

მთლიანი ჯამი	**4680,958**
მთლიანი ფართობი	18,96
1მ2-ის ფასი	**246,88595**

სამუშაოს დასრულების ვადა: 1 კვირა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან

შპს "გინას" დირექტორი გ. მამუკელაშვილი

ჩულურეთის რაიონის ტერიტორიაზე მოსაწყობი ცხაურების

ესკიზი



კონსტრუქცია იწყობა შედუღებით
ზომები (L, B) შეიძლება შეიცვალოს

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №01.01.11/10/165 21.12.2016 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2016 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2016 წლის "21" დეკემბერს გაფორმებულ №01.01.11/10/165 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე ჩუბინაშვილის ქ.№37-40, ნინოშვილის ქ№2/16, ნინოშვილის ქ№10, ჩიტაიას ქ№12, ჩიქობავას ქ№47-55, ჯავახიშვილის ქ№35, კონსტიტუციის ქ.№13, წინამძღვრიშვილის ქ№60, ტროტუარებზე, სარდაფების თავზე ლითონის ცხაურების მოწყობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

გამგეობის პროვაიდერების
ზედამედველობისა და მონიტორინგის
განყოფილების წამყ. სპეციალისტი

მ. დათუკიშვილი